სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57708748374017

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170842626

რეგისტრაციის თარიღი

25.07.2017 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
ტელეფონი: 0322931887

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდახუთ ივლისს მე, თეა მაღალდაძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემ სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. №6, **შპს „ფალავანი“ -ს** **ს/კ 400178259 დირექტორმა** ლევანი ექიზაშვილმა რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე **ლევანი ექიზაშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ლევანი ექიზაშვილმა** (დაბ: 09.08.1987 წელს, პ/ნ 01020007634, საქართველოს მოქალაქის პასპორტი 10BA00871, რეგ. მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ახტალას ქუჩა, N 3) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე აგრეთვე შევამოწმე **ლევანი ექიზაშვილის** უფლებამოსილება. კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის **შპს „ფალავანი“ -ს ს/კ 400178259 დირექტორი** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, იურიდიული მისამართი: **საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გასასვლელი ახტალა, No34/3;** ელ. ფოსტა: **falavani1988@gmail.com,** საიდენტიფიკაციო კოდი: **400178259,** სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.** განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B17072026, 11/07/2017 13:39:00,** მარეგისტრირებელი ორგანო: **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;** სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: **16/06/2016.**

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე რწმუნებულების/მინდობილობის ტექსტი. **ლევანი ექიზაშვილის** წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარში და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტიდა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ლევანი ექიზაშვილი როგორც შპს „ფალავანი“ -ს ს/კ 400178259 დირექტორი,** რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც “მიმნდობი“ ამ მინდობილობით **შავლეგო ბერუაშვილს** (დაბ. 25.04.1990 წ. პ/ნ 01019046458) რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც “მინდობილი“ საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: **შავლეგო ბერუაშვილი უფლებამოსილია** სამეწარმეო და/ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული კანონით ნებადართული და კომპანიის წესდებით განსაზღვრული დირექტორის ყოველგვარი მოქმედება. იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანოსა და დაწესებულებაში, იუსტიციის სახლში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, სამინისტროებში, სანოტარო ბიუროში. მერიაში, მერიის არქიტექტური სამსახურში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, ნებისმიერ წლის, გაზის და ელექტროენერგიის კომპანიებში, შეათანხმოს, შეცვალოს და/ან გააუქმოს პროექტი, წარადგინოს დეკლარაციები/ზედნადებები საგადასახადოში. აწარმოოს ელექტრონული დეკლარირება. ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად საჭირო დოკუმენტებს. დადოს და გააუქმოს გარიგება/ხელშეკრულება. გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, ისარგებლოს საზოგადოების ბეჭდით. მიიღოს და გასცეს ყველა სახის დოკუმენტაცია.

აგრეთვე, იგი უფლებამოსილია საზოგადოების სახელით გახსნას, დახუროს, შეუზღუდავად მართოს და განკარგოს ნებისმიერ კომერციულ ბანკში, მათ შორის სს „თიბისი ბანკი“-ს, ნებისმიერ ფილიალში, არსებული და მომავალში გახსნილი საზოგადოების ანგარიშ(ებ)ი/ანაბრ(ებ)ი აგრეთვე მათზე განთავსებული სახსრები (იგულისხმება როგორც წინამდებარე მინდობილობის გაცემამდე, ასევე გაცემის შემდგომ განთავსებული თანხები). აღნიშნული მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ქმედებებს: აწარმოოს კანონით ნებადართული ნებისმიერი საბანკო ოპერაცია (შემოსავლის, გასავლის, გადარიცხვის და სხვა. მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან). აღნიშნულთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს ნებისმიერ განაცხადს. აწარმოოს ანგარიშ(ებ)ზე კანონით ნებადართული ნებისმიერი საბანკო ოპერაციები, შეიტანოს ნებისმიერი შინაარსის ცვლილება/დამატება არსებულ/გაფორმებულ ანაბრის/ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებში და თავად, საკუთარი შეხედულებით, განსაზღვროს ცვლილებათა/დამატებათა ყველა პირობა. მიიღოს ნებისმიერი ცნობა/ინფორმაცია/დოკუმენტი საზოგადოების ანგარიშ(ებ)თან/ანაბრ(ებ)თან და

ძათზე განთავსებულ სახსრებთან დაკავშირებით, მათ შორის ცნობა დავალიანების შესახებ. თანხმობა განუცხადოს ბანკს, რომ საზოგადოების პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია მიიღოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსგან/პირისგან და შეცვალოს საზოგადოების მონაცემები ამ ინფორმაციის საფუძველზე. ისარგებლოს (გააქტიუროს) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი საბანკო პროდუქტით – ინტერნეტ ბანკინგით, SMS ბანკით, ოვერდრაფტით, აკრედიტივით, საბანკო გარანტიითა და სხვა. მიიღოს საზოგადოებისთვის განკუთვნილი დიჯიპასი. ხელი მოაწეროს საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ განაცხადს/განცხადებას, როგორც მათი მიღების, ჩართვის/გააქტიურების, ასევე ლიმიტის ცვლილების (გაზრდა და/ან შემცირება) შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ სხვა დოკუმენტს რაც დაკავშირებულია საბანკო პროდუქტით სარგებლობასთან. გააუქმოს გააქტიურებული/არსებული საბანკო პროდუქტები და სერვისები.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 2019 წლის ოცდახუთი ივლისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუსის თეა მაღალდაძის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
2. წესდება/პარტნიორთა შეთანხმება.

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე 10.00 ლარი. 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 1.80 ლარი, ჯამში: 13.80 ლარი.

ხელმოწერა: _____

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე

